სუმოს წესები

◻ აღწერა:

სუმოს რობოტების ჩემპიონატის მიზანია შექმნას ავტონომიური რობოტები, რომლებიც აიძულებენ მოწინააღმდეგის რობოტს დატოვოს განსაზღვრული არენა (სუმოს რგოლი) თავად, მისი დატოვების გარეშე.



◻ საკვალიფიკაციო მოთხოვნა

რობოტს უნდა გააჩნდეს "start"-ის ღილაკი, რომლის გააქტიურებიდანაც 5 წამში უნდა დაიწყოს მოძრაობა. დროის ათვლა იწყება რობოტის მიერ სტარტის ხაზის გადაკვეთით და მთავრდება ფინიშის ხაზის გადაკვეთით.

წონა: რობოტის მასა უნდა იყოს:

- მაქსიმუმ 0,5 კგ

ან

- 0,5 კგ-დან 3 კგ-მდე.

0.5 კგ-მდე რობოტებისთვის



0.5-დან 3 კგ-მდე რობოტებისთვის



ზომები: რობოტი უნდა ეტეოდეს 15x15სმ ყუთში.



ზომები: რობოტი უნდა ეტეოდეს 25x25სმ ყუთში.



რობოტის სიმაღლე არ არის შეზღუდული.

❗ რაუნდის დაწყების შემდგომ ნებადართულია რობოტმა მოახდინოს თვითმოდიფიკაციები (გაშლა, გაფართოება...).





❗ნებადართულია სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება მოწინააღმდეგის აწევის ან რინგიდან გადაგდებისთვის.

ენერგიის წყარო: ენერგიის ძირითად წყაროდ დასაშვებია მხოლოდ ელემენტის გამოყენება.

◻️ მატჩის წესები:

მატჩები ტარდება წრიულ რგოლში, **შავი ზედაპირით** და **თეთრი გამომყოფი** საზღვრით.

მატჩი იწყება ორი რობოტის საწყის პოზიციებზე მოთავსებითა და start-ს ღილაკის გააქტიურებით.
-რინგის დიამეტრი - 154 სმ
-თეთრი ხაზის სისქე - 5 სმ.





◻ გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულია რობოტი, რომელიც მოწინააღმდეგეს დაატოვებინებს რინგის ფარგლებს.

აგრეთვე გამარჯვებულად ჩაითვლება რობოტი თუკი, მოწინააღმდეგე რობოტი იმობილიზირებულია.

მატჩის დროის ლიმიტი:
რაუნდის ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 5 წუთით.

◻️ შეზღუდვები

დაუშვებელია შეჯიბრის დროს, რობოტის დისტანციურად მართვა.

დაუშვებელია რობოტების გააჩნდეთ ბასრი კიდეები ან გარე ვიზუალის შემადგენელი ნაწილები.

◻️ წაგება

ავტომატურად დისკვალიფიცირდება რობოტი, რომელიც დროზე ადრე დაიწყებს მოძრაობას.



რობოტის წრის გარე პერიმეტრზე შეხებისას ავტომატურად იმარჯვებს მოწინააღმდეგე
.



და პირიქით, თუ რობოტი არ ეხება გარე პერიმეტრს მატჩის მიმდინარეობა გრძელდება.



ობოტი ავტომატურად ცხადდება წაგებულად თუკი მისი რაიმე ნაწილი/ნაწილები, რომელთა წონაც აღემატება 30 გრამს, დაზიანების შემდეგ აღმოჩნდება რინგს გარეთ.



უსაფრთხოების წესები!

აკრძალულია:

- შოკერის, ელექტრომაგნიტური გამთიშველის გამოყენება
- ზედაპირის ნებისმიერი სახით დაზიანება, რაც მოიცავს:
    - მოწყობილების მიერ ცეცხლის ან კვამლის გამოყოფას
    - ნებისმიერი სახის სითხის/ფხვნილის/სპრეის/თოკის/ბადეს გამოყენებას
    - სასროლი დანადგარის გამოყენებას